უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 21 0000701853

12/07/2021

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო
აკადემია და სემინარიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ, თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^5 მუხლის საქართველოს განთლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის'', საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული 77-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიას (ს/კ 404439247) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი- საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 760 - ით.
2. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის № 701566 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3.გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია: 2021 წლის 28 ივნისი
4.უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით